


რადიონაც ხშირად
 გვაწვალებს წვიმა
 და ნიღვრებად
 უფროთავს და გორბავს..
 ძველ სახურავებს
 უწყალოდ ცხრილავს..
 (ქუჩებს სოფლებს
 უღამად და ღორღად!)
 ჩაღის და ავსებს
 სათავსოს, ბინას..
 და შენობასაც ძირს
 უთხრის, ზოგანი..
 რადიან უხაპუნა
 გვიწვდება ძვირად, —
 გადავბახროთ ჩვენს
 თბილისს... ქოლბა!

კონსტანტინე გამსახურდია



მისი მობრძანებით ჩვენი რედაქცია ზეიმობდა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მშვენიერება და მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი გვესტუმრებოდა, არამედ იმიტომ, რომ განსს ველოდით მისგან.

ღირსეული მწერლური სიამაყით ცნობილი კონსტანტინე გამსახურდია არასოდეს არ თაკილობდა ახალგაზრდა და დამწყები სატირიკოს-იუმორისტების გვერდით თავისი ღიღებით მოსილი სახელისა და გვარის დაბეჭდვას.

მისი სიბრძნითა და სიმახვილით აღსავსე, ხალხური ჰუმორით განმსჭვალულ იგავ-არაკებს მკითხველი პირველად „ნიანგის“ ფურცლებიდან ეცნობოდა.

ღიდ კონსტანტინეს ღიდი მწერალი სატირის გარეშე არ სწამდა.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს სწორუპოვარი სპასალარის მტკიცე მარჯვენით ეპყრა კონსტანტინე ბატონს თავისი მჭრელი კალამი. ახლა ეს კალამი ძვირფას რელიკვიდაა ქვეული.

ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, მხატვრული სიტყვის ღიდოსტატის ბატონ კონსტანტინეს ნათელი ხსოვნა სამარადისოდ იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

იმ დღეს აჩიკოს ქორწილი იყო დანიშნული!.. ღრეობაში შვიდი ასამდე კაცი დაეპატიჟებინათ!.. თადარიგი ორი კვირით აღრედავიჭირეთ!.. დავალებები თანაბრად განაწილდა ყველაზე. პირადად მე „ღვინის საკითხის მოგვარება“ მომანდევს.

— იმითანა ღინოა, შვილო, იმითანა, რომა!.. — ჩასუქებულმა, ხნიერმა გამყიდველმა ცერა, საჩვენებელი და შუათითი ტუჩებთან მიიტანა და სასოებით ეამბორა. ხუთი ორასლიტრიანი კასრი მანქანაზე დავდე. „კასრები ორ დღეში დააბრუნეო“ — მომძახნა „მელვინეთუხუცესმა“.

ღვინო მივიტანე, მაგრამ ახლა ის შეიქნა საფიქრებელი, რაში გადაგვეცალა ეს კეთილშობილი სითხე. ქორწილის აქტივმა ერთხმად გამოთქვა აზრი: „აფთიაქიდან, „ლევალი“, ყანგბადის ბალიშების გამოტანა შეიძლებაო“. რაც თბილისის აფთიაქებში ყანგბადის ბალიში იყო, ყველა ჩემი ძმაკაცის ბინაში მივზიდე. ამ საქმეში თანაშემწეც დამინიშნეს და მეზობლის სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი გამომიყვეს. მალე ის ოთახი ყანგბადის ბალიშების საწყობად იქცა...

— მოდიან! მოდიან! — შემოვარდა სადარბაზოში მახარობელი. ამ უქანასკნელს სამკლავური გაუკეთეს და, „სამახარობლოდ“, ორლიტრიანი ლამპის შუშაც მიართვეს!..

თამადამ სუფრა „საუტხოოდ წაიყვანა“: ჯერ ნეფე-დედოფლის საღლეგრძელო შესვა წყვილი ყანწით, შემდეგ — იმათი მშობლები-სა. ამას მოჰყვა ნეფე-დედოფლის ბებებისა და ბაბუების საღლეგრძელო. მეტაფორულ-ჰიპერბოლური ეპითეტებითა და შედარებებით გათამამებულმა სიძის შეზარხოშებულმა ბაბუამ სამადლობელი დალია, დაცარიელებული ყანწი ცერზე დაიწურა და გამოაცხადა: „გინდათ თუ არა, მაგიდაზე უნდა ვიცეკვო!“ უხუცესს სასწრაფოდ გაუთავისუფლეს ადგილი. მანაც ღიდხანს არ დააყოვნა,


გამჭირავებელი პუნქტიდან გამოტანილ გრძელ, ვიწრო მაგიდაზე ჩაბუჩავით შეჩბა და „მთიულური“ ჩამოუარა. დამჭირავებულმა ჯერ ნელი ტემპი აიღეს, შემდეგ უფრო მოუხშირეს და, ბოლოს, ისე შეიჭრნენ როლიგში, ვერ გაიგებდით, რას უკრავდნენ! გაგიჟებულ სტუმრებს ტაშისკვით ხელისგულიები დაუსკდათ. უცებ, ბაბუა შეტორტმანდა, მკერდის მარცხენა მხარეს ორივე ხელი იტაცა და, ღროზე რომ არ მიშველებოდნენ, საციგში მოადგინდა ტყაპანს...

— არიქა, მიშველეთ! — აყვირდა საცოდავი. „ენა ამოუქაჩეთო!“ — ბლაოდა ერთი. „გული დაუზილეთო!“ — განკარგულებებს იძლეოდა მეორე. „ჰაერი, ჰაერი არ მყოფნისო!“ — კვნესოდა მოხუცი. აფთიაქებში სასწრაფოდ აფრინეს ხალხი ყანგბადის ბალიშის მოსატანად. ათ წუთში ყველა ხელცარიელი დაბრუნდა... ხელებს ასავსავედნენ: „მთელი თბილისი მოვიარეთ, მაგრამ არსად ყანგბადის ბალიშის ჭაჭანება არ არისო“. მივხვდი, რაშიც იყო საქმე!.. ამ მოხუცის ცოლმა მე უნდა მეზიდა: რაც თბილისის აფთიაქებში ყანგბადის ბალიში იყო, ყველა აქ მოვიტანიე და რა ჯანდაბა უნდა ეშოვათ?! უკვებ გონება გამინათდა... ვაჯქანდი და ყანგბადის ერთი ბალიში მოკარბენინე, სასწრაფოდ მოგხსენი პირი და ბიჭებს ვუბრძანე, ზედ შემდგარიყვნენ. ბალიში წუთში დაიცალა! ჩემს „ჟიგულიან“ ძმაკაცს ხელი დავტაცე და კიბეებზე დავიშვით. მორიგე აფთიაქში ბალიში ყანგბადით ავავსებინე. მოხუცს იმ დროს მივუსწარით, როცა მიქელ-გაბრიელისთვის ინტერვიუს მიცემას აპირებდა. ბაბუამ ნახევარი ბალიში გამოცალა, თვალი გაახილა, გერ შეკრებულთ გადმოგვხედა, პირზე მიბჭინილი მილი მოიცილა და დაიღრია: „ბიძიებო, ამ ჰაერს რაცხა კახურის გემო დაკრავს ნამერტანო!“

საიჭიოდან მობრუნებული მოხუცი ზვინივით თამადამ გვერდით მოისკა. „ვიკვის ჯადოქარი“ ბაბუის საღლეგრძელო პერსონალურად შეისვა!..


ქეიფი გაგრძელდა!..

თამაგ ზეიზვილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

— მანამ არ დაგვეკლავინებთ, სანამ იმის პირობას არ მომცემთ, რომ ჩემი ტყავიდან მახინჯ ფეხსაცმელებს აღარ შეპირავთ!..



— შენ შეგარსებინა ღმერთმა! ორი ქულა გაინს აგელო!
— ორი ქულიათვის თბილისის „დინამო“ თერთმეტი კაცი
თბილისის და მე, ერთი, რას გავსდებოდი თერთმეტი პროფესორის წინააღმდეგ?!

მარტივი კორუნი

მეფე და მონაწილე

ერთხელ, როს მეფე გადაველო ჯირითით ტრამალს, ერთი პატარა ჭიანჭველა შენიშნა ცაცხვთან...
ბუდისკენ სწრაფად მიათრევედა ოქროსფერ მარცვალს:
„ჩემი სალამი ჭიანჭველას — გამრჯეს და მამაცს!“
„მეფეო, ღმერთმა აგაცილოს ავის ხელყოფას!“
„ერთი მითხარი, ეს პატარა მარცვალი ხორბლის რამდენ ხანს გყოფნის?“
„დიდი-დიდი, ერთ თვეს მეყოფა!“
„სიმართლე მინდა, დავადგინო და ნუ დამძრახავ!“
ბრძანა მეფემ და შეასრულა თვისი განზრახვა:
თან წაიყვანა, მიუჩინა ბინად ტაძარი, ჩასვა ჭიქაში და ჩაუგდო ერთი მარცვალი.

...და გაატარა ექვს თვეს ჟამი მეფემ ლაღდა. ექვსი თვის შემდეგ თავსახური ჭიქას ახადა, შიგ მოფუსფუსე ჭიანჭველა დახვდა საღდა, მერე ხორბლის ნახევარიც დაინახა და ასე მიმართა:
„აკი მითხარი, მარცვალი ხორბლის სულ დიდი-დიდი, ერთ თვეს თუ მყოფნის?! რისთვის დაგჭირდა, რად მითხარი ეგ ცრუ არაკი, ნახევარ წელში ნახევარი გეყო მარაგის?!“
„მეფეთ მეფეო, მამატიე, არ მილაყბია! მოგესხენებთ, კაცის თვალი ხარბზე ხარბია! გარჯით ნაშოვნი მშოვნელს მუდამ ცოტა ჰგონია! ან მეფის სიტყვის დაჯერება გამიგონია?! — ექვს თვეს ჩამკეტე, ტყვეობაში ექვს თვეს ვიწვოდი, მე რა ვიცოდი — იქნებ, მთელ წელსაც ამ ჭიქაში ტყვედა გყოლოდი, უყაირათოდ ვით გავძლებდი, აბა, ბოლომდი?!“



სომხურიდან თარგმნა ბიძი შაჰნაზარმა

ხ ე ლ ფ ა ს ი ს ფ ა ს ი ს

ხელფასის ჯ ა დ ო ს ნ უ რ დღეს ჩემი მინადორა (შუამავლობით რომ შევიერთე თხუთმეტი წლის წინათ), ტრადიციულად, ყოველთვის მინორულ მინადორულ განწყობალებზეა!..
გენიალური პრაქტიკული გამოცდილება მკარნახობდა, ამჯერადაც ასე იქნებოდა:
— რატომ არ უნდა მეცვას მე, ამხელა ხელფასის პატრონის ცოლს, მარტო კრავლის ქურჭი, „ამაზონკები“, შენ ხარ ჩემი ბატონი, „პისეცია“, ან „გოფრე?“ — ეჭვიანობით გადარეულ ოტელოსავით გადმომიბრიალა თვალები მინადორამ! მიუხედავად მოსალოდნელი და უეჭველი ატომური საშიშროებისა, გულში მაინც გამიხარდა, რომ ინტუციამ არ მილატა. მინდოდა, ცოლის ეს მოსაბეზრებელი შეკითხვა კონტრეტევიტ მომეგერიებინა, მაგრამ, როცა მან სკამი ჩემკენ მოაჩოჩა, სახანავი აიღო და საანგარიშოს ფარივით დაავლო ხელი, მიგხვდი, ორთაბრძოლა მაინცდამაინც კარგად არ დამთავრდებოდა!.. ამიტომ ენა ისე დავიშაქრე, ოთახში რომ ფუტკრები ყოფილიყვნენ, ალბათ, მომესეოდნენ!..
— რა ვქნა, გენაცვალე! — ეს სიტყვა ცოლთან, თავლობის კვირის შემდეგ, მეორედ ვიხმარე, — ორას ოთხმოცი მაქვს სულ! ხელზე ორას ორმოცდაათს ვიღებ! ჭიბჭიში ორას ორმოცს ვიღებ! შინ ორას ოცდაათი მო-

მაქვს!.. ჩვენი ბულალტერი მეუბნება, საშემოსავლოსა და კიდევ სარაღაციოს გიკავებო!..
— რომელი ბულალტერი?! სიმპათიური ქალიაო, რომ ამბობდი?! — ახლა მრისხანე კლეობატრასავით აწკიბა წარბები მინადორამ.
ენაზე ვიკბინე და ცოლს ოქროს უცოდველი ვერძივით შევხედე, თან ვიწყინე: „რა შუაშია აქ სიმპათიური?!“ საანგარიშო ნახად გამოვართვი და ანგარიშს შევუდექი:
— ქალო! ათასი საზოგადოების წევრი ვარ! ამ წევრობას კი, მოგესხენება, ფული უნდა, „საწევრო გადასახადს“ რომ ეძახიან! „მინადორას შინ ხელფასი უკლებლივ ძივუტანო-მეტი“ — ამის გულისთვის ხომ ვერ გამოვწყდები საზოგადოებაში?! წყალმამველი საზოგადოების წევრობა ხომაა საჭირო?! ზღვაში რომ ძარღვი გამენასკვოს და საწევრო არ მქონდეს გადახდილი, მაშველი რაზმი რას იტყვის, რომ დამინახავს?! ხომ გავწითლდები სირცხვილით წყალში გალურჯებული კაცი?!
— კარგი, ნუ ამტირებ და, მაგისი საწევროც გადაიხადე! — მოლბა მინადორა და თვალზე ალტაცების ყუყუნა ცრემლი მოაღვა (ალბათ, დამხრჩვალნი წარმომიდგინა!).
— პლუს ამას წითელი ჯვრისა და მოწითალო ნახევარმთვარის, ავტომოყ-

ვარულთა, ტყის მეგობრის, ფლორაფაუნის დაცვისა და სახანძრო საზოგადოებები!.. როგორ გგონია, ამათ საწევრო არ უნდათ?!
— კიდევ რისი წევრი ხარ, ისიდორე?! ამ ოჯახის წევრი რომ არა ხარ, კი ვხედავ! — მოთმინების ჩეხური ფიალა აევსო მინადორას. სხვა საზოგადოებებიც რომ დამესახელებინა, სიდედრის ნაყიდი ბროლის ჭალის თავზე დამსხვრევა არ ამცდებოდა!..
— ამას გარდა, სამსახურში ჩამოვყალიბეთ მრგვალი მაგიდის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შინაურული ჭორებისა და საუბრების მოყვარულთა ნებაყოფლობითი წრეები. დიან, წრეები და არა — საზოგადოებები! ამას ემატება ლატარიის ბილეთები, ფეხბურთის აბონემენტი, სპორტლოტო, გაზეთები და ჟურნალები!..
დავა შუალამემდე გაგრძელდა!.. დიდხანს ვიცავდი თავს კასიუს კლევიტო, მაგრამ, როცა მინადორამ ჩემს სამსახურში შემოვლისა და ბულალტერიაში „ზოგი წვრილმანის“ დახუსტების სურვილით ნოკდაუნდში გამგზავნა, სასწრაფოდ ამოვიღე ჭიბიდან ვალიდოლი და თავი დამარცხებულად ვცანი: ხელფასი ერთბაშად გამიხდა ორას ოთხმოცდაათი მანეთი, წნევა კი — ას ოთხმოცდაათი ასზე!..



საბურთალოს რაიონის მხედველობა ადგილობრივი წყაროების წყაროების კონსტრუქციის აღიარება. აქტიური მხედველობა მრავალი წელიწადი მუშაობს. მუშაობს, საწყობო, ისე უფროა, რომ ეს ყველაფერი ჩრდილოეთში ახლა არაა უფროა, რისი თუ უფროა. არ ახლა უფროა მათ ახლა უფროა და განვიხილოთ სახეობა...

— დილა, შავაჩა მირა... რა!



— ჩემი ხელშეწყობით თანავე ჩემი ლაბორანტი ანტიბიოტიკის მიხედვით...

წილის წიკრილი კვირალი

წილის წიკრილი კვირალი... სიბერის ვეღარ ვერაფერი! მითხარ, რა გამოვიყენებო? — მაყვარო თუ მათაო? საღამო, ჩემი მეუღლემ როგორ დაძაბა ხელები? როგორი იყო თანაში, უცხოლო, მატრო ასევე? უკალი სიხარული რას ჰქონდა ბარკა, შოი და ლაზარო? ვინ დაივიწყა შარვალი? ვინ გაიხივებდა ხალაო? ვინ მოიხივდა სისხლში ჩაბნეტილი თილის-ქალი? ვინ მოვიტანა „პორკოში“, ხორცი, შაქარი, კარაქი? ვინ გაიხივდა ვახშამი? ან ვინ მოაზარდა სადილი? ვინ ავიხივდა ოცნება, ვიქრო და ვეღლის წილი? ან იქნებ, ჩემი ვეღლის, ვიღაცამ შეიკვლიდა — ტელევიზორის ეკრანთან პირლანა მოვალისა!



ნ. დევიანაძე

ყუბანი წავალი

მს სადასო, რიფხუა ტელევიზორის წინ საყარებლუ ჩვეულებრივად მოიწვევით მე და ჩემი მეუღლე ნახვარი, ტელევიზორი გათვითონ, უნარლო გადავიდეთ და დავიწყებ. მუხევიზორის ან არახისი (მეჩის თილის) ზეის ერთი სუფრის კოვზის ოდენობით დავიკვებები პირის წინა ნაწილში, დავეწმინთო ჩოჭო კამეჩი, ან საყოფარას (ზეთის გადაკლაპა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება). პროცესი გრძელდება ძალადატანებლად 15-20 წუთის განმავლობაში. ამ პროცესის შემდეგ პირში რამდენჯერმე უნდა გამოვიტოვო წყალი. პროცესი საჭიროა დღეში ერთხელ ჩავატარო, უმჯობესია დღითი, უმჯობეს, შეიძლება აგრეთვე სააბაზო წი. წუთის პროცესი ადამიანის ორგანიზმში იხრებდა გარეობის გაყვლა, ადამიანის მეტაბოლიზმი, დღეგრძელა ნივთიერების ცვლა, ორგანიზმის ცხოველურება და ადამიანი განსაზღვრება.

— დედა გათვით, მართლა თუ წერია? აბა, მანვე! — როგორ გათვით? ეგლა მაკალი, რომ ტყუილები მოვიტონი! სახლური მდივანი მაგას კი არა, სასწავლებლის ახდენი... — აბა, მამ, ზოგჯერ რომ შეუდარის ძილის შემდეგ თავისტყვილები ვიცი, გამთვლი? — თუ მაგისთანა უნარლო ავადმყოფობა არ გავიარა, რიდას მაქნისი იქნება ეს წაშლი? — ვივინი გათვითეულ კვალა მშლისა და დამდურული პრასის ფითილებში გახვეულ კუბაბის ჭამის შემდეგ რომ ეგლისმანრა ვიცი, აღარ მექნება? — არა-მეთო, გეუბნები!.. ოს!.. ოს!.. ოს!.. საიდან გაგახსენდა, შე ქალი, ამ შუადღისას ასეთი საჭმელები? — კინძმარში ამოღებული ასეტრის ჭამისას ნერწყვის გამოყოფა რომ მაქვს, აღარ მექნება? — დაასა ცქცულზე ნაეთი იხამებამ. — არა-მეთო, გათვით და შეისმინე! — აბა, მამ, იქ წუთს კი არა, ორმოც წუთს დავიტეხე! — ორმოცე ვივინი, ავადმყოფობას სულ შეუკვლიდას კვრით გამოვიყვანო ორგანიზმიდან!

მის შემდეგ, ყოველ დილას, გაიღობებს თუ არა ჩემი მორი ნახვარი, ჩაიკვებები პირში ერთ სუფრის კოვზ ზეის და სამხარში წყალში, დასაბრუნო მაქვს ყურები: ადრე კვების შეყვარებულ მელაპარაკება და დასრულ პლატფორმებზე შეყვარებულ ტელევიზორს, სანდასან შეყვარდა, ხელით მაინებინა რადაცა, მაგრამ მე ვითომ ვერ ვხვდები, ახლა სახლურ მედიცინაში ვივინი სალაითი გასაჩვენებელ რაიმე საშუალებას და თუ ისიც ვივინე, ჩემს ბედს ძალით აღარ დადევს, უარსაკოდ დავისვენებ კაცი...

ნალაღიან მამაშალაშვილი




— კიყო, ჩავს გოჯაკაში მითხოვთ და მამ გოჯაკაში მოვამტანე!

ბინძურები

მხატვრი: რომელ საუბრებს ეკუთვინს, ყმაწვილო, ლურსმული დამწერლობა? — სიბუნებო, რადგან მამა-ჩემი ანიმირი წერილებს სულ ლურსმული წერს!

— აქ ძალით ვამოსა და ვებრ? — არა! მამლის ვამევიტო, ახალი სასწავლებლის გამო, ჰალდის ვეღარ ვიღიან და რეალურებს წყალი ვიღიან!

თამარ მირაკლიძე



— რა უსაუბრო ბამბუხაბარო? — მითხარ მამაშალაშვილი მამაშალაშვილი და, აბა, რა შიშობილყო!

კვამლეობა

მშალის საუბრის დრო მსაუბრეობდა. პრიფხილ კულანბეულ სასწავლებლის გამგებელ ტელევიზორზე მუა ხარგავში იყვინე.

— რა გეგს ბილთში პირველი კითხვა? — სათვალეს შემოიკვებდა კომისიის წევრი, ახალ გამასავით წვერიფხვამლო ახალაზრდას, რომეგს მარლის ტრეტე პრასის ფითლებში ვაფარითობოდა ბილთში.

— კურსლის ანობილი. — აბა, ბრძანე თუკა ლეტორის და სავგებს შეუწილად წერილები ჩავალი. — კარგად გარეხილ-გარეხილად კურსლები დამტარის, მიხვარაკო, ჩავაფარით ოხრახუმი, ჩინძი, ვამა, რეკასი, მამინე დავასან ღორის ქონის ცოტა რომ შეიბარებება, ხანუგათი კაცი მამიორი, — ჩავხველა სტადეობა, უმჯობესი რეწეული ავლი ჩაქოვინდა და რიხიანად ვამაჩინო, — ან ტამატიკი, თუ საპირში გეგბათ ეს კვრინ, და ვაღვლით 40 წუთი... შემდეგ ხელ მიიღის პური და წითელი ვეგინი...

— ეგ აღარ არის ბილთში! ბილთს ამოლაპარაკა გამოხველობა. — ნამდვილი, ბატონო, წიღილი ღვინო უგებდა, „გუკუხარის“ დასაქ... — გადადი, აქო, მთორ კითხვაზე! — ამოცხვება ლეტორის, რომელსაც მთორ კურსი ისე გვა მამისილის სული, თითვის აქორსვრად მოგახველობა ოფთო მთორ თმითი სურნელები ვერსი. — მთორ კითხვა, ბატონო, ბუღალმას!.. დიას კაცი ცხვრის სორეი, მუგანოლი, მთორ ბილ-ბილი, ხანგე, დოხში მოგახსენებ! — არ უნდა! ბილთ, განაგრძე!

— თქო!.. თქო!.. თქო!.. თავისი საქვის მომავალი პროფესორი კი ემამკურად წყურავდა თვალის და ცხრა თვის მსგავს ახალ კვასით ამბობინებულ ღვინოზე.

ს. შირაღანიძე

ბ ა ი შ უ ნ ი

ბ ა ი შ უ ნ ი... რა გეგინა!... რიხინადა სკვალის, — და ბიშულის, — გათვითოს, — მართალი ხარ!... ზოგჯერ თუ ჩვენი ახალი ბიშულის...

ბიოგრაფიული

საქსიომა

თანამშრომლები ზარ-ზეიმით შეხვდნენ მივლინებიდან ნაადრევად დაბრუნებული ბენედიქტეს გამოჩენას. რის ვაი-ვაგლასით შემჭიდროვდნენ და ახალშემოსწრებულს სუფრასთან ადგილი გაუთავისუფლეს.

— სიდედრსა ჰყვარებიხარ, ბენედიქტე! გაეხუმრა განყოფილების უფროსი არდალიონი.

— ვუყვარდი კი, ცხონებულს! — თავი ჩააკანტურა ბენედიქტემ, შაბათს წლისთავს ვუხდით და ყველანი დაპატიჟებული ხართ!..

— აცხონოს უფალმა! — ნაამები სახით მიუგო არდალიონმა, როცა ბენედიქტეს განცხადებით გამოწვეული აჟიოტაჟი მინელდა. — ადგილკომს ვეტყვი და ავტობუსს გაგვიხერხებს, ვითომ ექსკურსიაზე წასვლას ვაპირებთ!.. შენ კი, ორშაბათამდე გაგიგრძელებთ მივლინებას! დღესვე დაწერე განცხადება დირექტორის სახელზე!.. მხოლოდ, სიდედრის ამბავი კი არ ჩამიწერო შიგ!..

ბენედიქტემ ჩაიტირქილა, თან სახაზავ მაგიდაზე გაშლილ პურ-მარილს ათვალღერებდა, რით დავიწყო!

— იცოდი, ჩიტოლიას დაბადების დღე რომ იყო? — შეეკითხა არდალიონი.

— არა, ეგ აო ვიცოდი!

— მაშ, რა მოგარბენინებდა?

— აკი მოგახსენეთ: სიდედრს წლისთავს ვუხდით და თქვენს დასაპატიჟებლად წამოვედი! თანაც დღეს მეცადინეობა გვაქვს!..

— რა მეცადინეობა?

— სემინარი... წარმოების ეკონომიკისა და მართვის საკითხებზე!..

— ჰო, შენ ხომ წრის ხელმძღვანელი ხარ! — გაიხსენა არდალიონმა, — მხოლოდ ამ სუფრაზე ეკონომიას მაინცდამაინც ნუ გამოეკიდები, იმდენი საკენკი მოგვიზიდა ჩვენმა ჩიტოლიამ, დილამდე რომ ვმუსროთ, ვერ მოვერევი! დაჯექი და შეექმეცი, სანამ შესვენება!

ბენედიქტემ, ის იყო, ინდაურის ბარკალს ჩაარჭო წინა კბილები, რომ შესვენების დამთავრების მაუწყებელი ზარის ხმაც გაისმა!..

არდალიონმა მაჯის საათზე დაიხედა, ამოიხვნეშა და, — მოვრჩეთო, — მოიხადა ვალი.

— იქნებ, გაგვეგრძელებინა? — შემპარავად დაეკითხა განყოფილების უფროსს სუფრის უფროსი, თანადად არჩეული პროკოფი.

— მერე?! დმერთი რომ გაწყრეს და, დირექტორმა შემოიხედოს, ან მთავარმა ინჟინერმა, რას აპირებ?!

— ისინიც შემოვიპატიჟოთ! — დაიჟღურტულა ჩიტოლიამ, — ჩემი დაბადების დღეა-მეთქი, ავუსხნი და არ გაჯიუტდებიან!.. ისე, არდალიონის თქმისა არ იყოს, ამდენი ხორავი მომიზიდავს მარტოქალს ჩემი ხაზი მკლავებით და სმა-ჭამაში მა-

ინც გამოიჩინეთ მამაკაცური მარიფათი!

— გავაგრძელოთ, ბატონო არდალიონ! — ამოილულულა პირგამოტენილმა ბენედიქტემ.

— მდაა!.. — გაავრძელა არდალიონმა. — გაავრძელოთ, მხოლოდ არ დალიონ, ა?!. საქმიანი წინადადებაა!.. მოდით, ასე მოვიქცეთ: კონსპირაციის მიზნით, კედელზე რაიმე ნახაზები ავაკრათ: ვითომდა, პროექტის განხილვა გვაქვს!..

— გადასარევი აზრია! — მოუწონა ჩიტოლიამ.

— მზრუნველი მამა ხართ ჩვენი! — დაიზმუვლა ბენედიქტემ.

არდალიონმა კმაყოფილებით ჩაახველა და საბრძოლოდ გამზადებული ჯარის სარდლის ხმით განაგრძო:

— ნაპოლეონი წინა პლანზე გადმოისროლეთ!.. ღვინო — მაგიდის ქვეშ!.. გოჭის თავს პირიდან ბოლოვი გამოაცალეთ, რომ, ოთახში შემოსულ კაცს, ერთბაშად არ ეცეს თვალში!..

— შენ გაიხარე, არდალიონ! — მოეხვია ჩიტოლია და გაოფლიანებული შუბლი მაქმანიანი ცხვირსახოცით მოსწმინდა. — ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწის თავი გადავს მხრებზე!..

— ნაპოლეონის! — დააზუსტა პროკოფი.

ბენედიქტემ ჩიტოლიას მიერ გამოცხადებულ „ნაპოლეონს“ დაადგა თვალი, მოზრდილი ნაჭერი დაითრია და გადასანსლა...


— სხვათა შორის, — გაავრძელა თამადად წამოწყებული აზრი, — წინათ, ლხინის სუფრაზე, სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საკითხებიც იხილებოდა! მეფე-დიდებულები, ქეიფის დროს, პოლიტიკონომიასაც რომ არ ივიწყებდნენ, ეს აქსიომა! მაშ, გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წინაპრებს!..

დღის ბოლოს, ორივე უფროსის ნებართვით, ნახაზები ჩამოხსნეს და ისევე კარადაში უკრეს თავი. „ქეიფის ხასიათს გვიფუჭებსო“, — ერთხმად აღნიშნავდნენ შეზარსოვებული თანამშრომლები. ბენედიქტემ დრო იხელთა, არდალიონს მიუჩინდა და კვლავ სემინარული მეცადინეობის შესახებ გაუბა კონფიდენციალური საუბარი.

— შეეშვი, თუ კაცი ხარ! — მამაშვილურად ურჩია არდალიონმა, მეტიმეტად ნუ გადავდლით და გადავტვირთავთ ხალხს! სუშრობა ხომ არ არის, დილიდან სახაზავ მაგიდას უსხედან!.. აიღე და, დღევანდელი ჩვენი თავშეყრა, როგორც სემინარული მეცადინეობა, ისე გააფორმე იმ შენს სააღრიცხვო ჟურნალში! დღეს აქ პოლიტიკაზეც იყო ლაპარაკი და ეკონომიკაზეც!..

— თან ასპროცენტებიანი დასწრებაც გვაქვს! — კვერი დაუკრა სემინარის ხელმძღვანელმა.

გურამ შარაშიძე



ნახ. მ. აბაშიძისა

— გამოსცა რომ მიღისარ, კარბად მომხადა?

— კბილებამდე ვარ შეიარაღებული!

ზომიარო ეპიკონა

თქვენც ხომ იცით, არ არი მზის სხივებით ნაფერი? — ბოთლში სულ სხვა ფერი აქვს, ტიქაში კი — სხვა ფერი!

მიპასუხეთ, მითხარით, ნუ შეიცვლით კილოსა: თუ სვამთ თქვენს გამოშვებულ და ჩამოსხმულ ღვინოსა?!

თუ კი სვამთ და კარგად ხართ, გადარჩენას გილოცავთ! არ თქვათ: „კაცი ყველაფერს ეჩვევაო, შვილოსა!“

შოთა ხოლანელი

ვინ რა თქვა?

წიგნმა: მე ხელს მაძლევეს, როცა ხელიდან ხელში გადავიღებ!

შანწმა: ვინც მე შემეყვარებს, ჩემსავით გადაეჩვევა ფეხზე დგომას!

მოღამ: რანაირი ფორმითაც არ უნდა ვიყო, მულამ ფორმაში ვარ!

პოეზიანობა: აშენებ ის გზას და ვადექი მეგონა, და, თურმე, გადაშენების გზას დავდგომივარ!

გიგლა ბახტაძე

ურაზები

● **პრთამის** მიტანისა ეშინოდა და... ენატანობა დაიწყო!

● **პოეზიით** ცოცხლობდა და უსიცოცხლო ლექსებს წერდა!

● **შავად** ნაწერს საგულდაგულოდ ათეთრებდა, ნაწერი კი მაინც აშავებდა!

ჯუშუბარ უთრუთაშვილი



ნახ. ნ. ქალაშაშვილისა

სუნიტყვოდ

მათი ზნე-ჩვეულებანი



მეორედ მოსვლა „უემბლიზე“

...იმ დღეს „უემბლიზე“ ასი ათასი ლონდონელი მაყურებელი ჰომერულად ხარხარებდა. არა, ეს არ იყო მეორედ მოსვლა, არც არავის ჰგონებია ქრისტეს გამოცხადება, თუმცა დედისობილა ექსცენტრიკი მამაკაცი ჩაიშავა მაცხოვრებს.

შუა თამაშის დროს ვიღაც თავზე და ნამუსზე ხელაღებული „ჯენტლმენი“ ტიტლიკანა გადახტა „უემბლის“ სტადიონის მწვანედ მოზიბინე მინდორზე.

რა იყო ეს? სენსაცია თუ ღიღი სანაძლეო? ვინ რას გაუგებს მათ ზნესა და ბიზნესს!..



ნახ. ბ. ლომიძის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი მოდის ახალი მსხვერპლი

ჰველას შესანიშნავად მოეხსენება, რომ არც ერთი ხალხის ღმერთებსა და რელიგიას იმდენი მსხვერპლი არ შეუწირავს, რამდენიც... მოდას!

ახლანან ინგლისის ახალგაზრდა ქალბატონებმა კიდევ ერთი მსხვერპლი გაიღეს: ისინი ჯოჯონეთურად მტკივნეულ ოპერაციაზე თანხმდებიან, ძუძუების თავებში რგოლებს იყრიან, რათა ამ ორიგინალური სამკაულით იკეკლუცონ!

რას იზამთ! სელოვნებას თუ სჭირდება მსხვერპლი, მოდაც თავისას მოითხოვს!

ნახ. ლ. ფავლენიშვილისა



შპარბალკაში... ტანსაცმელზე

...მალაზიას თავაშვებით უტევენ!.. ცდილობდნენ, შტურმით აეღოთ მისი მისადგომები!.. აქ არასოდეს ყოფილა ასეთი რიგი და აურზაური!.. საერთოდ, ინსბრუკელი სტუდენტი ქალიშვილები, ყიდულობდნენ კი არა, ზედაც არ უყურებდნენ ვიტრინაში გამოფენილ სინთეზური ქსოვილის ბლუზებს. იმ დღეს კი მისი გულისთვის თავპირის მტკრევა იყო...

საქმე იმაშია, რომ ბლუზები მეტად უცნაურად მოეხატათ. ქსოვილის სახე აკრელებული იყო ერთობ „დეფიციატური“ ქიმიური თუ მათემატიკური ფორმულებით. ისე, რომ, მისი მყიდველი თავისთვისაც იძენდა შპარბალკას და სხვისთვისაც.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ერთობ სიგანგებო თათბირი ჩაეტარებინა. განიხილეს შექმნილი სიტუაცია, ცხარე დებატების შემდეგ გამოიცა ბრძანება: „ბლუზა-შპარბალკების ჩაცმა ნებადართულია მხოლოდ ლექციებზე, გამოცდებზე კი — არავითარ შემთხვევაში!“



კიდევ ერთხელ...

სტოპკოლმელ ინჟინერს, ანდერს ორესს, „ვოლგო — 1960“ მარკის მანქანა მოპარეს. პოლიციამ ჩქარა იპოვა გატაცებული ავტომობილი. ორესი ფრიალ გაოცდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ქურდს ძველი აკუმულატორი ახლით შეეცვალა!.. ჩქარა მანქანა ისევ მოიპარეს. ოპერატიულმა პოლიციამ ისევ იპოვა იგი. ისევ მოიპარეს!.. მოკლედ, ერთი წლის განმავლობაში, თერთმეტჯერ მოიპარეს და... თვრამეტჯერ იპოვეს. რაც მთავარია, ყოველი გატაცების შემდეგ, მანქანა თავის პატრონს გაუმჯობესებული უბრუნდებოდა. ბოლო დროს ორესს მანქანა მოუყვანეს ახლად გადაღებილი, ახალ-თახალი ნაწილებითა და შეუქვარებით. ორესი ახლა თავისი მანქანის კაპიტალურ რემონტს აპირებს, მართალია, მატერიალურად ამის საშუალება არა აქვს, მაგრამ ღიღი იმდენ აქვს მანქანის მეთორმეტედ გატაცებისა...



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის სასამართლოები სხვადასხვა წვრილმანი „დარღვევებისათვის“ ყოველწლიურად 37 ათასამდე კაცს სჯიან... ცემით! დასჯილთა რიცხვში მხოლოდ აფრიკელები და სხვა „შავკანიანები“ შედიან.

— რუმორ მოგვონთ ჩემი ახალი დასარტყმელი ინსტრუმენტის ხმა?